College Meridiani
კოლეჯი მერიდიანი

პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი



+995 511 400 303

ბათუმი, ჯავახიშვილის 4ა

www.meridiani.edu.ge

info@meridiani.edu.ge

კოლეჯი მერიდიანი დაარსდა 2023 წელს და წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს ხარისხიან განათლებას, პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, თანამედროვე სიმულაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს, ასევე თანამშრომლობას ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებთან სტუდენტთა დასაქმების თვალსაზრისით.

პროფესიული განათლება უზრუნველყოფს პირისათვის იმ კომპეტენციების გამომუშავებას, რომელსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან შრომის ბაზარი და მიმართულია პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისაკენ.

პროფესიული სტუდენტისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს, ისეთი ტერმინების არსი, როგორიცაა:

- **პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლოპროგრამაზე;**

- **მოდული - სასწავლო ელემენტი, რომელიც აერთიანებსლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;**

- **კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.**

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

მიიღოს ხარისხიანი განათლება

ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით

მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები

თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული პოზიცია წარმოადგინოს სასწავლო პროცესის თაობაზე

შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში

ისარგებლოს მობილობის წესით



მოითხოვოს განმეორებით შეფასება მოდულის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში



ანონიმურობის დაცვით პერიოდულად შეაფასოს პროფესიული მასწავლებელი/ ინსტრუქტორი, ადმინისტრაციული პერსონალი და საგანმანათლებლო პროცესი

პროფორიენტაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახური

1 კოლეჯში სტუდენტების ადაპტირების ხელშეწყობა, სტუდენტთათვის კონსულტაციების გაწევა კოლეჯთან დაკავშირებულ საკითხებზე

2 შემეცნებითი და სპორტული საქმიანობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, საქმიანობის პოპულარიზაცია და განხორციელების ხელშეწყობა

3 სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობა

4 დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა

5 კოლეჯის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

- პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება მიზეზის მითითებით (მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი);

- სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როდესაც განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რომელიც შეუთავსებელია სასწავლო პროცესთან.

- დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოს შორის ხელშეკრულების შეწყვეტა;

- პირადი განცხადების საფუძველზე პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის შეჩერების მოთხოვნა დაუშვებელია თუ განცხადების შეტანის მომენტისათვის არსებობს აღნიშნული პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწვეტის საფუძველი.

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადაა 5 წელი,

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

- **პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა (თუ არ განხორციელდა მისი, როგორც პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა);**
- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;**
- **პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;**
- **კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;**
- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურებების გაცდენა;**
- **დაწესებულების შინაგანაწესით და სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული შემთხვევები და სხვა საფუძვლები;**
- **დაწესებულებისათვის ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის მობილობა:

გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი

შიდა მობილობა - პროფესიული სტუდენტის, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ამავე დაწესებულებაში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შემთხვევა

გარე მობილობა - პროფესიული სტუდენტის, ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევა

მობილობის უფლების მქონე პირი:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) პირი, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი

პროფესიული სტუდენტის შეფასება

პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია.

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი

განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით

განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტისათვის კრედიტის მინიჭება ხორციელდება მხოლოდ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

გისურვებთ წარმატებებს!

MERIDIAN